შეურაცხადი ბრალდებულის მონაწილეობა საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში: ხარვეზები და მისი აღმოფხვრის გზები

ნინო ხაჩიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

ხელმძღვანელი: ნათია მოგელაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

„როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ნინო ხაჩიძე

23.06.2025

აბსტრაქტი

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა სამართლებრივი სახელმწიფოს უმთავრესი პრინციპია. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა, ხელი შეუწყოს სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებას მხარეთა თანასწორობის დაცვით, ხოლო ნეგატიური ვალდებულებაა, არამართლზომიერად არ ხელყოს ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. განსაკუთრებული დაცვა ესაჭიროება ისეთი კატეგორიის ჯგუფებს, რომელთაც მათი ფიზიკური თუ ფსიქიკური მდგომარეობის გამო, არ შესწევთ უნარი დაიცვან თავი სათანადოდ. შეურაცხადი ბრალდებულები სწორედ იმ დასაცავ კატეგორიას მიეკუთვნებიან, რომელთა მოწყვლადობა, ფსიქიკური დაავადების გამო, მაღალია. შესაბამისად, თითოეულმა სახელმწიფომ, არამხოლოდ უნდა შექმნას მათზე მორგებული სამართლებრივი მექანიზმები, არამედ გააძლიეროს მათი დაცვის გარანტიებიც.

ნაშრომის ფარგლებში მოცემულია შეურაცხადობის მოკლე მიმოხილვა ქართული კანონმდებლობის ანალიზთან ერთად. ასევე მასში მცირედი ნაწილი ეთმობა საერთაშორისო გამოცდილების კვლევას, საერთაშორისო-სამართლებრივი ანალიზის მიზნით. რაც შეეხება კვლევის უმეტეს ნაწილს, მასში განხილულია ის პროცედურული საკითხები, რასაც შეურაცხადი ბრალდებული გადის, ბრალის წაყენებიდან სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე. განხილულია საქართველოში არსებული პრაქტიკის ანალიზი, კერძოდ მონაწილეობს თუ არა შეურაცხადი ბრალდებული მის მიმართ წარმოებულ საქმის განხილვაში, სარგებლობს თუ არა იგი ბრალდებულის უფლებებითა და კონსტიტუციური გარანტიებით. ნაშრომში იდენტიფიცირებული და გაანალიზებულია, ის პრობლემები და გამოწვევები, რასაც შეურაცხადი ბრალდებულები აწყდებიან სამართალწარმოების პროცესში. განხილულია ის საკითხი, აკმაყოფილებს თუ არა ქართული კანონმდებლობა კონსტიტუციურ და საერთაშორისო სტანდარტებს, სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად. ბოლოს კი რეკომენდაციის სახით მოცემულია პრობლემის გადაჭრის სავარაუდო გზები.

წინამდებარე კვლევის მიზანია, შეურაცხად ბრალდებულთა სამართალწარმოებაში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრის გზების განსაზღვრა. დღეს საკანონმდებლო ხელისუფლება დიდი გამოწვევის წინაშე დგას. ვიმედოვნებთ, ნაშრომი მნიშვნელოვან ბიძგს მისცემს საკანონმდებლო ხელისუფლებას, რომ ძირეული ცვლილებები გაატაროს შეურაცხად ბრალდებულთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის კუთხით. გარდა ამისა, იგი ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას, შეურაცხადი ბრალდებულის სამართალწარმოებასთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: შეურაცხადობა, სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა, იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობა.

Abstract

The protection of human rights and fundamental freedoms represents a paramount principle of a state governed by the rule of law. It is the positive obligation of the state to facilitate the implementation of fair justice while upholding the principle of equality between the parties, and negative obligation is to refrain from unjustifiably interfering with or violating fundamental human rights and freedoms. Particular protection is required for categories of individuals who, due to their physical or mental condition, lack the capacity to adequately safeguard their own interests. Accused persons who are legally incapacitated belong precisely to this vulnerable group, whose susceptibility is heightened by mental illness. Accordingly, each state must not only establish legal mechanisms tailored to the needs of such individuals, but also strengthen the guarantees for the protection of their rights.

This paper provides a brief overview of legal incapacity, accompanied by an analysis of Georgian legislation. A minor section is also devoted to an examination of international practices, with the aim of conducting an international-legal analysis. The principal focus of the research, however, lies in the procedural aspects encountered by legally incapacitated defendants from the moment charges are brought against them to the final adjudication by the court. The study includes an analysis of existing practices in Georgia, specifically, whether a legally incapacitated defendant participates in the proceedings conducted against them, and whether they are entitled to the rights and constitutional guarantees afforded to defendants. The paper identifies analyzes the challenges and systemic deficiencies that legally incapacitated defendants face within judicial proceedings. It examines whether Georgian legislation meets constitutional and international standards for ensuring the right to a fair trial. Finally, the paper offers recommendations for potential solutions to these issues.

The purpose of the present research is to identify the deficiencies in the legal proceedings involving legally incapacitated defendants and to determine possible means of redress. Today, the legislative branch faces a significant challenge. It is hoped that this paper will serve as a crucial impetus for the legislature to enact substantial reforms for the protection of rights and freedoms

of legally incapacitated defendants. Furthermore, it aims to contribute to raising public awareness regarding legal proceedings involving such defendants.

Keywords: legal incapacity, forensic psychiatric examination, involuntary psychiatric treatment.